„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.

ქალაქ სიღნაღში

ენკენისთვის 9-დგან გაიმართება პირველ დაწყებითი

**სასწავლებელი**

სასწავლებელს მმართავენ: რობიტაშვილისა—ბიევსკისა, მარიამ მარჯანიშვილისა და ქნ. ნინა ანდრონიკაშვილისა.

ფასი მოსწავლეთათვის თვეში 2 მანათი.

თბილისი, სექტემბრის 13-ს.

ამ დღეებში ჩვენ დავბეჭდეთ ჩვენის გაზეთის 195 №-ში კორესპონდენცია ლანჩხუთიდამ, რომლის ავტორი იწერება, რომ სხვათა შორის, ჩვენს დაბაშიაც აპირობენ მომრიგებელის სამსჯავროს განყოფილების დაარსებასაო.

როგორც ვიცით, წელს სახელმწიფო რჩევამ გადასწყვიტა, თბილისის სამსჯავრო პალატის შუამავლობის წყალობით, რომ გაძლიერდეს ამიერ-კავკასიის სამსჯავროთა შტატები. ეს გაძლიერება იმითი გამოიხატება, რომ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეში თითქმის ოცამდე მომრიგებელ სამსჯავროთა განყოფილებანი იქმნებიან დაარსებულნი.

ეს გადაწყვეტილება უმაღლესის მთავრობისა ცხადად ამტკიცებს, რომ იგი ყურადღებას აქცევს შორეულს განაპირა ქვეყანას და, შეძლებისამებრ, სცდილობს დააკმაყოფილოს მისი მართლ-მსაჯულების მოთხოვნილებანი. თბილისის სამსჯავრო პალატის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ მის შუამავლობით უმაღლესი მთავრობა ადვილად იგებს ჩვენის ქვეყნის საჭიროებას ამ მხრივ. ეს საჭიროება, მართლაც რომ ყოვლად თვალ-საჩინო ფაქტს შეადგენს. ეხლა ჩვენი ცხოვრება უფრო რთულს მოვლენას წარმოადგენს, ვაჭრობა უფრო გაცხოველებულია, აღებ-მიცემა და სხვა-და-სხვა გვარი მოვლენა ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა ბევრად რთულია, ვიდრე ამ ათისა და ოცის წლის წინად იყო. ამიტომ იურიდიული ურთიერთობაც უფრო გაცხოველდა და კანონიერის მსვლელობისათვის ჰსაჭიროებს იმ გვარ დაწესებულებათ, რომელთაც საგნად აქვსთ სამართლე დაიცვან ამ ურთიერთობაში.

არა ეკონომიური კეთილ-დღეობა არას დროს სასურველს წარმატებას არ მიეცემა, თუ საკუთრება, ქონება და შეძლება საზოგადოების თითოეულის წევრისა, დაცული არ არის სამართალის შემწეობით. თუ კაცი თავის შრომისა და ჯაფის ნაყოფს ვერ დაიცავს სხვა-და-სხვა ბოროტ-განმზრახველთაგან, მატყუარა და მტარვალთაგან, იმას ხალისი ეკარგება სარჩოსა და ქონების წარმოებისა, ხალისი ეკარგება შრომისა და ქვეყანა, უსამართლობით დაჩაგრული, ნელ-ნელა ვერანდება და უდაბნოდ გადაიქცევა ხოლმე. პირ-იქით, რაც უფრო მეტი სამართლიანობა სუფევს საზოგადოების წევრთ შორის და რაც უფრო ადვილად და მალე კმაყოფილდება მართლ-მსაჯულების ინტერესები, მით უფრო წარმატებაში შედის ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

ყველამ იცის, რა ხშირია ხოლმე ჩვენში სულ უბრალო უსიამოვნობის გამო ერთი გაუთავებელი ჩხუბი მტრობა და გადაკიდება ერთმანერთისა. მაშინ როდესაც მომრიგებელს იუსტიციას ადვილად შეეძლო მოერიგებინა უბრალო უსიამოვნობისათვის ერთმანერთს სასიკვდილოდ გადაკიდებულნი. მაგრამ ამ საქმისათვის, საჭიროა, რომ მომრიგებელი სასამართლო შორს არ იყოს იქ მიმართულის მსურველისათვის, საჭიროა, რომ ამ დაწესებულებისადმი მიმართვა ბევრს ხარჯს არ ითხოვდეს, კაცს დიდხანს არ აცდენდეს.

ჩვენი მომრიგებელი სასამართლონი ისე მცირენი იყვნენ რიცხვით, ისე შორს იყვნენ მცხოვრებელთა მომეტებულ ნაწილისგან, და თან ისე დატვირთულნი მრავალ საქმეებით, რომ თავის დანიშნულებას ნახევრობით ველარ ასრულებდნენ და მისდამი მიმმართველნიც ველარც გზის ხარჯს ასდიოდნენ, ველარც ერთის კვირისა და ორის კვირის მოცდენას უძლებდნენ. ამ გარემოების გამო ფრიად დაბრკოლებული იყო ერთი უმთავრესი ფუნქცია საზოგადობრივის ცხოვრებისა, ფუნქცია სამართალის წარმოებისა ქვეყანაში, მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის საქმე ჩვენის ქვეყნის რამდენსამე გუბერნიაში.

ამ გვარს სამწუხარო გარემოებას თან მოჰქონდა ეკონომიური ცხოვრების განუვითარებლობა, ქვეყნის კეთილ-დღეობის საქმის შეფერხება, ნივთიერი სილატაკე და იურიდიული განუვითარებლობა. ამ იურიდიულის განუვითარებლობის ბრალია, ერთის მხრით, რომ ავკაცობა, მტარვალობა და მტაცებელის ინსტიქტით შეპყრობილი ხელობა ძლიერდებოდა და ბოლოს ულებდა ქვეყანას.

ცხადია, რომ ამ საჭიროებას უნდა მოვლებოდა როგორმე, ცხადია, რომ ამ სატკივარს წამალი უნდა დასდებოდა საიდანმე.

მთავრობამ შეიგნო ეს ჩვენი საჭიროება და თავის განკარგულებით ცდილობს დააკმაყოფილოს ჩვენი ინტერესები ოცამდე ახალის სამსჯავროთა განყოფილებების დაარსებით.

სასურველია, რომ როგორც ძველი, ისე ახალი მომრიგებელი სასამართლო დაწესებულებანი უფრო მტკიცედ დაუკავშირდენ მცხოვრებელთ და საზოგადოდ ხალხს; ისე არსად არ არის საჭირო სულიერი შეთვისტომება, დაახლოვებული კავშირი, როგორც იქ, სადა კაცი არიგებს უსიამოვნობის მქონეთა. თუ მომრიგებელს და მოსარიგებელთ ერთმანერთისაგან შორი-შორს უჭირავთ თავი, თუ მომრიგებელს და მოსარიგებელთ ერთმანერთისა არა ესმით რა, ურთიერთშორის ნდობა არა აქვთ, ყოველივე საფუძველი ეკარგება ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას, «რეზონ

---

## უკანასკნელი სურვილი

როს გაზაფხული ზამთრის ძილსა
            შესცვლის სიცოცხლით,
და ჩემის ქვეყნის მთა-და-ბარსა
            მწვანე სამოსლით
მოჰკაზმავს კოხტად, ვით პატარძალს
            გასათხოვარსა;
როს მოკამკამე სამხრეთის ცა
            თვის ღრმა ლაჟვარდსა
დაქანცულს მხარეს გარდააფენს
            სანუგეშებლად,
და ფრთოსანთ გუნდი მღერას მორთავს
            ღვთის სადიდებლად,—
მხოლოდ ამ ჟამს მსურს, გულმა ჩემმა
            მგერა შესწყვიტოს...
„მშვიდობით!“ ვუთხრა საუკუნოდ
            მვირფასს სამშობლოს!....

—

მსურს განვისვენო მაშინ სადმე
            მყუდრო სამარხზე,
სადც უყვავილთ გროვა თავს აჩრიდეს
            ნელსა ნიავზე..
მუნიდამ მოჩნდეს გარდაშლილი
            ჩემი ქვეყანა,—
მინდორი, ველი, მდინარენი,
            მოხნული ყანა....
შორით ათასგვრად ბზჭყრიალებდეს
            მზისა სხივებზე
სპეტაკი თოვლი ჩადრ-მოსურულს
            კავკაზის მთებზე,
და ზედ დასტრფოდეს მათ არწივი
            ლაჟვარდ სივრცეში,
აქ გამოზრდილი თავისუფლად მათსა
            კალთებში.. .

—

და როს მწუხრის ჟამს მთებს გასცდება
            მზე ჩაესვენოს,
ტურფა ბუნებას ნაზი ბინდი
            გარდაეფინოს,
და ბადრმა მთვარემ ჭმუნვით ციდამ
            დასხდოს ჯრეს,—
მაშინ ესტუმროს მოწყენილსა
            ჩემსა სამარეს—
სატრფო არსება ფერ-მიხდილი,
            დაღონებული...
დე, მან დაადნოს მწარე სევდა
            გულს მოდებული
საღმრთო თვალთაგან გადმონადენს
            ცრემლთა გუბეში,
და ტკბილის მოთქმით ჩამომძახოს
            ბნელს სავანეში:

—

„საბრალოვ! რასაც შენა მღერდი
            და გულით გწადდა,
მის აღსრულებას ვერ მოესწარ,—
            აღარ დაგცალდა!...
ესლა კი ჰყვავის ეს ქვეყანა
            სცემს მაჯა ერის“.
მაგრამ დადუმდა, ვკვდავ, ვკვდავ!
            ხმა ჩანგის ჟღერის!...
ოჰ, ვერ გაახნევს ამ ტკბილ ხმებსა
            ღამის ნიავი!—
გრძნეულის ძალით მათ გარდმომცემს
            ჩემა სათვალავი,
და სულს ჩაუდგამს ერთის წამით
            უგრძნობელს ლეშსა,
სინათლეს მოჰფენს, თვით სამარის
            ცივსა ბნელეთსა!!...

დიმ. გრემელი.

---

## დათა გუგუნავა

> ბევრს გახსოვთ ის დრო, სამ სამთავროში
> რომ მეშახოდენ ლხინის დედასა,
> მაგრამ მომესმა მე ეს სახელი:
> ფლიდმან სოფელმან შემრთო სევდასა.
>
> აწ ველარ ნახავთ თქვენ ჩემს მოლხენას
> მზად ვარ დავითქმე უფსკრულს ქვედასა—
> იმასვე ვმადლობ, მასვე მივმართავ,
> ვინ ზის სამყაროს შვიდ ცას ზედასა....
>
> დათა გუგუნავა.

ამ რამდენიმე დღის წინად ზურიაში გარდაიცვალა ოთხმოცის წლის მოხუცი თავადი დათა ბუგუნავა. ქართლ-კახეთში ზოგს, შეიძლება, გაუკვირდეს, რომ ჩვენმა გაზეთმა ადგილი დაუთმო რამოდენიმე სიტყვას განსვენებულის პატივსაცემად და მოსახსენებლად წარმოთქმულს.

დეტრი აღარა აქვს მომრიგებელს ინსტიტუტს

# შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ამ თვის თორმეტს კახეთში მიდის, რომ თავად-აზნაურთა საჭიროებანი უფრო დაახლოვებით და კარგად გაიცნოს. კახეთიდამ დაბრუნების შემდეგ სხვა მაზრებშიაც წავა

⊖⊖⊖ ამ თვის 9-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს აპელაციურმა განყოფილებამ განიხილა იოსებ ქავთარაძის და კალიევის საქმე და მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილება დაამტკიცა, რომლის ძალითაც, როგორც იციან მკითხველებმა, ქავთარაძეს უნდა გადახდეს კალიევის მოტყუებისათვის 300 მან. ფულად და ოთხი თვითაც ციხეში უნდა ჩაჯდეს. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოცხადებისათანავე გამოაცხადა, რომ ქავთარაძე უნდა დატუსაღდეს, სინამ ასს მანეთს სათავდებოდ არ წარმოადგენსო. ქავთარაძემ სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ უთანხმოება გამოაცხადა, კალიევი კი საქმის განხილვას არ დასწრებია.

⊖⊖⊖ იმ ურიის მკვლელობის შესახებ, რომელიც ამას წინად მოხდა ქ. გორსა და კარალეთს შუა, ახლა ვტყობულობთ, რომ მკვლელები აღმოჩენილან და მკვლელობის განზრახვაც გაცარცვა ყოფილა. ერთს მკვლელს ურიის ცხენი წაუყვანია, ხოლო მეორეს სიჩქარით, ქუდი და ქისა იქვე დარჩენია. მკვლელები ცხინვალს დაუჭერიათ.

⊖⊖⊖ ძირულის სტანციიდამ გვწერენ: «ჩვენს სტანციაზე ახლო-მახლო მცხოვრებთ და ვაჭრებს ბევრი საქონელი მოაქვთ სხვა-და-სხვა ადგილებზედ გასაგზავნად, მაგრამ აქ მოტანილ საქონელს გაგზავნა ძვირად ეღირსება ხოლმე; ორ-ორ და სამ-სამ კვირაობით კარში ყრია საქონელი, რადგან იმდენი შეგროვდება ხოლმე, რომ საწყობში აღარ ეტევა; კარში დაწყობილი საქონელი, რასაკვირველია, ფუჭდება და ჩვენი სტანციის უფროსს ჯეროვანი განკარგულება ვერ მოუხდენია, რომ ასეთი ზარალი აეცილებინა საქონლის პატრონებისათვის.»

⊖⊖⊖ შორაპნის მაზრის სოფ. მუხურაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

⊖⊖⊖ სოფ. დოლათ-ქედიდამ (მთიულეთში) გვწერენ: «ეს ორი თვე იქნება, რაც აქ საქონლის ჭირი მძვინვარებს და ძალზედ ჟლეტავს მსხვილფეხს საქონელსა. არაფერს საშუალებას არ სცდილობენ, გარდა მკითხავების რჩევისა. ყოველ შაბათობით გარბიან მათთან და ისინიც ცრუმორწმუნეთ ატყუებენ, ვითომც ამ სოფლებში ხატებმა გაავრცელეს საქონლის ჭირი და სნეულება, უქადაგებენ ხალხს, რომ აქედამ ორმოცი ვერსის სიშორეზედ ხევსურეთში წავიდენ ხატის მოსალოცველად, ღვინო არაყი და თხუთმეტი დიდი ცხვარი სამღრთოდ შესწირონ. სოფლელები მატყუარა მკითხავების ბძანებას მუდამ ერთგულად ასრულებენ, და ეხლაც დაუყოვნებლივ აღასრულეს და წავიდენ მოსალოცავად. მაგრამ იქ წასვლამ არა თუ სარგებლობა რამე მოუტანა ხალხს, არამედ ბოროტებად გადაექცათ: დაბრუნებულს ნასვამს ხალხს მოუხდათ ჩხუბი ერთი-ერთმანეთში — ორ გვარეულობას ბიკაურებსა და წიკლაურებს — და ერთი საშინელი მსხვრევა-მტვრევა ჰქონდათ; ხუთი კაცი კარგა მძიმედ არის დაჭრილი და დანარჩენებიც ძალიან ნაცემები არიან.

საქონლის ჭირს-კი გაძლება დღე-დღეზედ უფრო-და-უფრო ეტყობა.

## «დროების» კორესპონდენცია

ქართლი, სექტემბრის 10. გავიყვანეთ, როგორც იყო ზაფხული და ახლა შემოდგომას ველოდებით. შემოდგომამ, ცოტა არ იყოს, გაგვამხიარულა. თუ ზაფხულში უხეირო პურის მოსავალს შევსცქეროდით და გული გვეთუთქებოდა, სამაგიეროდ ახლა ღვინის მოსავალს კარგს მოველით, ხილიანობაც საკმარისია. რა ვქნათ, უნდა იოლას წავიდეთ შინაურულად. ბევრიც რომ მოგვსლოდა ჭირნახული, რას უზამდით: გასავალი არ ექნებოდა და ბაზარი მყიდველი არ არის პურისა და ის არის და ის. ისე გაწყვა ფული, რომ, ღმერთმანი, ლამის ომიანობა ვინატროთ. თუ ხალხი დაიხოცება ომში, ჩვენ აქ მაინც გავცოცხლდებით ან ფული გაჩნდება, ან ვაჭარი გაიწაწანებს საქმე, ან ერთი, ან მეორე.

— ჰე, ჰეი, რა იყო მაშინა, — მეუბნებოდა ერთი გლეხი — ი ომი რომ უნდა დაეწყოთ. პური იყო, ღვთის მადლით, მაგრამ, მყიდავი არ იყო და, დაიწყეს თუ არა ომი, ხუთ მანათად გადაიკვეთა კოდი. თუ ომი დაიწყო, სწორედ ეხლაც აგრე იქნება.

— სწორედ აგრე იქნება, — ვუთხარი მე, მაგრამ ომი რა სანატრელია, შე კაი კაცო.

— მა რა ვქნათ, შე დალოცვილო, ჩოხა ველარ გამოგვიცვლია და ამისთანა უბედურება იქნება?

მართლაც და არ გაგონილა ამისთანა მიყრუება სოფლის ცხოვრებისა, როგორიც ეხლა არის. რამდენია ჩვენსკენ შეძლებულები, მემამულენი, მაგრამ ყოველი იმათი შეძლება იმითი გამოიხატება, რომ ამბარებით უდგია ორისა და სამის წლის მოსავალი და თითონ კი თითქმის მშიერი-ზის სახლში. ჩაი და შაქარი რომ იყოს საყიდელი იმის მოხერხება არ არის. შვილს რომ ისტუმრებდეს სასწავლებელში, ორსა და სამს თუმანს ვერ მოუხერხებს.

რა არის მიზეზი ყოველივე ამისა, ჩვენ ვერ მივხვედრილვართ. ამბობენ კი, რომ ე რკინის-გზის გაყვანის შემდეგ ბაქომდე ჩვენ გავირიყენითო. ქართლი ეხლა ფანჯარაა, რომელშიაც ქარივით მისრიალებს ყოველივე დოვლათი და სიკეთე და ჩვენ კი არაგვეხარვებარაო.

იქნება ეს ეკონომიური მოსაზრება მართალიც იყოს. სადაც რა მოსავალია და უფრო იაფად საყიდელია, რკინის-გზა იქიდამ ღრუბელივით ისრუტავს და იქით მიაქანებს, სადაც საჭიროა ჩვენი აღარც პური უნდა ვისმე, როცა უფრო კარგსა და იაფსა ჰყიდულობენ ამიერ-კავკასიაში და აღარც ღვინო. აბა, ჩვენი მჟავე კლუკვენის წვენი რომ არ წაიღონ მუშტრის გასაკვირვებლად, მე ვიცი სხვაგან ვერ მოსძებნიან, კახეთი იქნება თუ განჯის მაზრა.

ესე კი არის. დღე-და-დღე გაჭირვება უფრო საგრძნობელი ხდება. შველა, არ ვიცით საიდამ იქნება. პალიტ ხომ ვერ ვიცხოვრებთ სულა. უიმისოთაც იმან გაგვატყავა. და ვგონებთ, ჩქარა აღარც სავალებელი იყოს სადმე.

სოფელელი.

## ახალციხის მაზრიდამ

წარსულს თვეში მომიხდა გავლა წინად ოსმალოს და აწ ახალციხის მაზრის მთებისკენ. თუმცა ამხანაგად მყავანდა ჩვენი სოფლის ახალ-გაზდა თათრებისაგან პატივ-ცემული ბიჭი, მაგრამ თქვენმა მტერმა იმგზავროს ისე, რო-

---

მსწავლული იყოვო? — ეგებ მკითხოს ვინმემ. არა. გამოჩენილი მწერალი? არც ეს ყოფილა. ეგებ რაიმე დიდი თანამდებობა ეჭირა რომელიმე საზოგადო ასპარეზზე და ამითი დაიმსახურა მან ყურადღება? არა, — მაშ რა ღირსებისა იყო ეს კაციო, მკითხოს ეგება ქართლელმა, ან კახელმა; მაგრამ იმერელი, გურული, მეგრელი, აფხაზი და ქობულეთელი კი მიხვდება, თუ რა მიზეზისა გამო ვხადით ჩვენ მიცვალებულის სახელს საყურადღებო საგნად.

დათა გუგუნავა გადაიცვალა და თუ არ ვსცდებით იმისი მსგავსი სრულიად საქართველოში არავინ დარჩენილა: ის იყო ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ძველებურის ჩვენის ცხოვრებისა, ის იყო ნამდვილი ძველებური ქართველი თავადი ყოველ გვარ საუკეთესო თვისებებით შემკული. — იგი მოესწრო გურიის სამთავროს და ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა თავის ქვეყნის ბედ-იღბალში, თავ-გადასავალში და ისე იჩენდა თავს, როგორც ეკადრება ნამდვილს მამულის-შვილის, უშიშარს, თავგანწირულს და ვაჟ-კაცობით გამსჭვალულს. ამ სამოცის წლის განმავლობაში ისეთი ომი არ ყოფილა, რომელშიაც იმას მონაწილეობა არ მიეღოს.

შეხედვისათანავე დათა გუგუნავა მიიპყრობდა კაცის ყურადღებას ტიპიურის, უმაღლეს ხარისხამდე გამომეტყველის სახით, ლომებრივის ტანადობით და ამასთანავე მეტის-მეტის მიმზიდველობით. ფართო მხარ-ბეჭებ შუა მაღლა ამართული მკერდი მისი გეგონებოდათ წინ მიისწრაფვის, თითქო მტერს ეძებს დასაჯახებლადაო. ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა მიმზიდველობით, თავმდაბლობით, დარბაისლობით და ამასთანავე კეთილ-შობილურის სიამაყით იყო სავსე.

მუსაიფში ტკბილი, მახვილი ფხიზელი ჭკუის და მოსწრებული სიტყვა პასუხის პატრონი, იგი ყოველ საზოგადოებაში, ყოველს ოჯახში სასურველი და სანატრელი სტუმარი იყო. იმასთან მოუბარმა მოწყენა რა არის არ იცოდა, რა გინდ დიდი ხანი დაეყო მის საზოგადოებაში. ჩვენის ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, როცა ვისმეს სიმარდის, სისწრაფის ქება უნდათ — «დათა გუგუნავასავით კვიდოო», იტყვიან ხოლმე, და მართლა რომ მისმა სიმარდემ ზღაპრული ხასიათი მიიღო, საარაკოდ გახდა. ერთად დაყენებულ რამდენიმე ცხენზე ხელ-უხლებლად გადახტომა, ძველებური დარბაისლური ცხენოსნობა, მარდად ჯირითის სროლა, იარაღის ხმარება — ხომ მის ხელთ იყო და არა მარტო სიყმაწვილეში არამედ მოხუცებულობის დროსაც ყმაწვილების იდეალს შეადგენდა ყოველს ამ გვარს ვარჯიშობაში. ჩონგურზე სწორედ ნამდვილი კომპოზიტორი იყო: იგონებდა სხვა-და-სხვა საამო, ტკბილ ხმებს და ჰანგებს, დაკვრის დროს თითონვე სთხზავდა ლექსებს და თან დამღეროდა. მისი ხმის მიხვრა-მოხვრა და თამაში მართლა რომ კაცს აკვირვებდა; თასმასავით მოქნილი ხმა აქვსო, ამბობდენ. ვერავინ ლიხს-გადაღმელი იმისთანა სიმღერას ვერ იტყოდა და გალობაშიაც ბადალი არა ჰყავდა.

ეხლა, როცა ვისმეზე ლაპარაკობენ, თავ-და-პირველად იმას ჰკითხულობენ, თუ რა თანამდებობის კაცია, ან რამდენი ჯამაგირი აქვსო: პატივი ნივთიერ შეძლებას მოსდევს. მართალია, სიმდიდრეს მნიშვნელობა მუდამ ჰქონია; მაგრამ უწინ პირადნი ღირსებანი მაინც მაღლა იდგნენ: მამაცობა, ვაჟკაცობა, რაინდული მოქმედება, თოფიარაღის ხმარება, ჯირითი, მკვირცხლი ბურთაობა, კარგი სიმღერა — გალობა, ხელ-ფეხის სიმარდე დაუფასებელ თვისებათ შეადგენდენ რაინდულს დროებში. თვითეული ამ ღირსებათაგანი გამოსადეგი და სასარგებლო იყო.

ქართველი კაცის ლხინს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრთან ხანგრძლივის ბრძოლისა და ოჯახს მოშორების შემდეგ, ქართველი მრთელის თვისის არსებით მიეცემოდა ლხინს, ამაში ჰპოებდა, სხვათა

გორც მე ვიმგზავრე: ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ ვხედავდი შავ-შავ პირ სისხლიან ქურთებსა, რომელთა მომეტებული ნაწილი წარმოგვიდგენდა გაშმაგებულ ტყვია ნაკრავ პირღია დათვსა და რომელთაც კაცის კვლა არაფრად უჩანთ. თუმცა არა ვარ ხამი თათრების ნახვისა: მათში ვარ დაბადებული, აღზრდილი და მათშივე მაქვს ადგილი ცხოვრებისა, მაგრამ მათი დანახვა მაინც მაშინებდა, რადგანაც გადაღმიელი თათრები ანუ ქურთები ბევრით და კაფიათად გაირჩევიან მოლმა, ჩვენი თათრებისაგან. ჩვენს თათრებს დღემდის აქვთ ქართველებთან თვის-ტომობა; მიჩვეულნი არიან, როგორც ქართველები, მიწის ხვნასა; ხასიათი, ზნეობა, სახე, მიხვრა-მოხვრა, ჩვეულებანი, ლაპარაკი ნამდვილი ქართული აქვთ. მდინარის არტანულას (მტკვრის) გაღმა მხრის ხალხი თათრის სოფლებისა ერთივე სქესისანი, დიდნი თუ პატარანი ერთობით ქართულად უბნობენ და ურთი-ერთს უწოდებენ ქართულ გვარებითა. თავიანთ სოფლებში ნაეკლესიარ ალაგებზედ ხოცვენ ყურბნებსა, ცხვარს კურატებსა ქართველურის წესით, ანთებენ სანთლებსა და აძლევენ მღვდლებს მალულად მოლების და ეფენდების საწირავებს თავიანთ ქრისტიან ქართველ გარდაცვალებულთათვის. მიღმიელ თათრებს კაცობრიობითი ღირსებანი სრულიად დაკარგული აქვთ: სახე ველური, ქცევა ავაზაკური, ცხოვრება უსუფთაო და არც ნათესაობა სწამთ.

დიდი შიშის გამოვლის შემდეგ ქართველების ცხვრის ფარები დავინახე და მაშინვე მათკენ გავეშურე და მათს ბინაში გავათენე ერთი ღამე. შემდეგ დიდის ხნის საუბრისა მწყემსებმა თითქმის ტირილით შემომჩივლეს: ჩვენი ბინები ამ მთებზედ არის, თითო ბინაში ლესნიჩისთვის მიცემული გვაქვს სამოც სამოცი თუმანი ფული, მაგრამ ლესნიჩის და მისი კაცების ნება დარვით ჩვენგან იჯარით აღებულს საძოვრებს ქურთებიც ხმარობენო. საძოვრის ხმარებას კიდევ ჯანი გავარდეს, მოსვენებასაც არ გვაძლევენო: შორიდამ მურდულებით ქვებს გვესვრიან და ცხვრებსაც ქვების დაგორებით გვიქლეტავენო. ამავე ქურთებმა საგარეჯოს მწყემსს თვალები აუხვიეს თავისი ყაბალახით, ხელები და ფეხები გაუკრეს და მიაკრეს ხეზედ ტყეში და თითონ ცხვრები დაარჩიეს და გაირეკეს. ამავე მწყემსებს დაუგორეს ღამე ლოდები და გაუქლიტეს ბლომად ცხვრები. ამოდენა ავაზაკობას და უწესოებას ახდენენ ქურთები...

## უცხოეთი

◆◆ ჯერ, სანამ აღმოსავლეთ რუმელიის აჯანყების დაწვრილებულ ამბებით გადაჭრელებული გაზეთები არ მოგვსვლია, გადავთვალოთ ზოგი ძველი ამბები და შევნიშნოთ, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე ეს მოულოდნელი არეულობა რუმელიაში. დრუმონდ ვოლფის მისია კუს ნაბიჯით მიდიოდა აქამდის და ამის შემდეგ ხომ პორტა, ძალიანაც რომ ჰსურდეს მას, ვერავითარს გადაწყვეტილს პასუხს ეტყვის ინგლისის საგანგებო ელჩს ეს მისია, რაღა ლაპარაკი უნდა, განზე გადაიდება, რადგან ოსმალეთს სხვა ერთობ დიდი თავ-სატეხი საქმე გაუჩნდა ამ ჟამად ბოლგარიაში. ბრწყინვალე პორტა დიდად მადლობელი დარჩა თ-დის ბისმარკისა და ლორდ დიზრაელისა, რომელთა წყალობით ბერლინის კონგრესზე მხოლოდ აღმოსავლეთი რუმელია მაინც დარჩა ოსმალეთის უმაღლეს მფარველობის ქვეშ. მაგრამ, ვაი, თუ ეს მადლობა დღეს უმადურად გადაიქცეს ოსმალეთისათვის და წყალობა, სიკეთე ბისმარკისა და ბიკონსფილდისა საზარალოდ დარჩეს ბრწყინვალე პორტისათვის. ჭკუაზედ უფრო ახლოა უკანასკნელი მოსაზრება და თუ ისიც ნამდვილია, რომ აღმოსავლეთ-რუმელიის არეულობა კრემზიერში ნახვის შედეგიაო, მაშინ ხომ ოსმალეთის ბედი უარესად დატრიალდება. ზოგიერთი ევროპის სახელმწიფონი მაინც სრულის ძალ-ღონით სცდილობენ ოსმალეთის გადაგდებას ევროპიდამ. ხშირად წარმოთქმულა ის აზრი, რომ რაკი ოსმალეთს, როგორც აზიურს სახელმწიფოს, ფეხი აღარ ედგმება განათლებულს ევროპაში, მაშინ თუ სულ არა, დიდის ხნით მაინც დაცული იქმნება წესი და მშვიდობიანობა ევროპის სახელმწიფოთა შორისო. მაგრამ ოსმალეთს თითქოს ზურგს უმაგრებს ინგლისი, რომლის ელჩი ფილოპოპოლში თანაგრძნობას აცხადებს აღმოსავლეთ რუმელიაში მომხდარ არეულობის გამო.

ძველ ამბავად უნდა ჩაითვალოს გერმანიისა და ესპანიის შორის მომხდარი განხეთქილებაც კოლონიალურ პოლიტიკის გამო. თ-დი ბისმარკი, რუმელიის აჯანყების შემხედვარე, ცხადია, ეხლავე მოსპობს დავას ესპანიასთან, რადგან სერბიელზე აღმოსავლეთის საქმე კვალად გამოჩნდა და ამ საქმეში ხომ ერთი პირველი მოთავეთაგანი რკინის გრაფია.

დღევანდელი ტელეგრამა გვაუწყებს, რომ ოსმალოს ჯარს გაულაშქრია კიდეც რუმელიისაკენ. პორტა რაზმავს დიდს მხედრობას. ფაცხლად გროვდება ჯარი ბოლგარიასა და რუმელიაშიც. და ამავე დროს ბოლგარიის თავადი აცხადებს, რომ ვეცდებით არ დავარღვიოთ ხონთქრის უმაღლესი ხელმწიფება აღმოსავლეთ რუმელიაზეო. ახირებული განცხადებაც, თუ გნებავთ, ეს არის. რუმელია აჯანყებას ახდენს, ოსმალოს მმართებლობისაგან დანიშნულს გენერალ-გუბერნატორს ატუსაღებს, [illegible] ფიანდაზედ უშლის ბოლგარიის მთავარს, რომლის მეფესა და პირველს მინისტრს მიიწვევს თვის დედა-ქალაქს ფილიპოპოლში და ეს მეფე-კი ამ გვარად აიმედებს ბრწყინვალე პორტას.— ერთის სიტყვით საქმე დღე-დღეზედ ისეთს მიმართულებას იჩენს, რომ ძალიან სიგულ-გრილე, მშვიდობიანობის მოყვარულობა უნდა გამოიჩინონ ევროპის სახელმწიფოთა, რომ პატარა რუმელიის პატარა აჯანყებას დიდი არეულობა—სრულიად ევროპის ომი არ მოჰყვეს.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

სექტემბრის 12-ს.

**პეტერბურგი.** სავექსილო კურსი უფრო-და-უფრო მსწრაფლად ეცემა. კურსი ლონდონზე $23\frac{1}{2}$ პენს. ბერლინზე 200 გერმ. ფენ., პარიჟზე $247\frac{1}{4}$ სანტ.; ოქრო ნახევარი იმპერიალი 8 მან. 45 კ.

**ბელგრადი.** ვენიდამ დაბრუნებულს მეფეს ხალხი მიეგება ყვირილით: “წინა მძლეო სერბია!„ აცხადებენ წადილს მგელს სერბიასთან და მაკედონიასთან შეერთებისას.

ბრძანება გამოიცა, რომ პირველის გაწერილობით შეგროვდეს 60,000 მეომარი მილიციისა

**პარიჟი.** გაზ. «Paris» ამტკიცებს, რომ ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა კანტაკუზენმა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შეიტანაო.

**კალკუტა.** სამა ახლად დარაზმული ავღანელთ პოლკი გაილაშქრა ქაბულიდამ ჰერათისაკენ.

**ბელგრადი.** აქ გავრცელდა ხმა, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინა ავსტრიას

---

შორის, მოსვენებას, შვებას, აქ მოიკრებდა ძალას, ღონეს, გააცხოველებდა ბუნებას, გაალვიძებდა გრძნობათ, აღამაღლებდა საუკეთესო თვისებებს; ჩვენი ძველებური ლხინი ნამდვილი პოეზია იყო. სიმღერა, გალობა, ზმის ტყორცნა, ლექსი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მარილიანი ხუმრობა, თარი, ჩონგური, დაირა—ლხინის აუცილებელ კუთვნილებათ შეადგენდენ; ლხინს მოსდევდა სამხედრო ვარჯიშობა: მიზანში სროლა, ყაბაღი, ჯირითი, ბურთაობა და ცხენის თამაში... აწინდელ ქართველს ლხინის სურვილი ჯერ კიდე არ დაჰკარგვია, მაგრამ ის ჩვეულებანი კი დავიწყებია, რომელნიც ლხინს ამშვენებდენ, ამკობდენ და აკეთილშობილებდენ. არ ვიცი, რის გამო, მწუხარებისა თუ მხიარულებისა, მაგრამ ღვინოა დღეს ლხინის ავან-ჩავანი და მთვრალობა მისი წესი: ღვინით იწყება ლხინი და ჩხუბით თავდება. უგრძნობლად დათრობა შეადგენს აწინდელის ლხინის ღირსებას...

უყველა ამის შემხედვარეს უნებლიედ და მწუხარებით აგონდება ისინი, ვინც ძველებურს, კეთილშობილურს განცხრომას თვალ-წინ უსახავდენ, ვინც ესტეტიურის სიამოვნებით ამშვენებდენ ჩვენებურს სუფრას და რაინდულის ვარჯიშობით აკეთილშობილებდენ ჩვენებურს თამაშს. თავადი დათა ბუგუნავა სწორად ერთი იმათგანი იყო; იგი იყო ჩვენის ძველის ცხოვრების უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი.

განსვენებულის ლომბრივი ბუნება მოხუცებულობის დროს შვილის სიკვდილმა შემუსრა—ამ უბედურობამ მოუსწრაფა მას აღსასრულის დღენი და იმის გამოა დაწერილი ის ლექსი, რომლისგან ამოვიღე სათაურში მოყვანილი ეპიგრაფი. ერთმა მისმა მეგობარმა თავ. ალექსანდრე მიქელაძემ სანუგეშო ლექსი მისწერა განსვენებულს, რომლითაც ამხნევებდა მას. შეიქმნა მიწერ-მოწერა. დათა ბუგუნავამ, სხვათა შორის, უპასუხა:

...„თქვენ თვით მოწმე ხართ ჩემის ცხოვრების,
რომ ბედმან დიდხანს ლხინით მატარა;
ვსიამოვნებდი და ვნეტარებდი—
არ მახსოვს პატივს მცემდენ სად არა;
ყველას გიყვარდით, ყველას გახსოვდით,
ყველასთან ვიყავ მონებრ პატარა,
მაგრამ ბოლოს დროს უბედურებამ
ეს შვება ლხენა სულ დამამწარა!....

ჩემი გაშლილი გული გაქვავდა
და დამიმუნჯდა მომღხენი პირი
საზი, ჩონგური, დაირა, ჩანგი,
და თარი მე მძულს—ვითარცა ჭირი;
მათ სიმთა ჟღერა ჩემთვის ზარია
სიმღერის ნაცვლად მწარედცა ვსტირი.
იფიქრე, რადღა ვიცოცხლო მარტო
სჯობს, რომ გავიჭრე, ვით ტყის ნადირი....

მეორე ლექსში:

თქვენც იცით, ჩემთვის მზე რომ დაბნელდა,
აღარც მინათებს ნაზი მთოვარი,
ყოველი თქმული ტკბილი გალობა
უბედურს ჩემს ყურს ესმის ვით ზარი.
. . . . . . . . . . . . . .
ხომ გინახავართ, ერთს დროს რა ვიყავ?
და ეხლა რა ვარ, რა მელოდება:
რასაც კარგს ვნახავ ის ჩემი ცეცხლი
თვალთ წინ მიდგია, ის მაგონდება...
იმის მომგონე თქვენ ცოცხლად მხადით,
მაგრამ ცოცხალი არ მეწოდება...
ის კაცი კაცად ვერ გამოდგება,
ვისც ჩემებრ გული დაეკოდება....

ეგებ ვისმეს გაუკვირდეს, რომ ამისთანა პატივ საცემ მოხუცს, როგორც იყო თავადი ბუგუნავა, შემოკლებულ სახელს ვუწოდებთ; მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვით ამ შემოკლებულის სახელით გამოიხატება საზოგადოების მისდამი წრფელი სიყვარული და პატივის-ცემა. ყმაწვილობიდამ ღრმა მოხუცებულობამდე «დათად» იყო ცნობილი და არა «დავითად».

მიცვალებულის დასაფლავებაზე დიდძალი საზოგადოება დასწრებია

საიქიოს მიმავლის საფლავს უხვი ცრემლი ერგო იმათგან, ვისგანაც სააქაოს «ლხინის დედადს» იყო ცნობილი.

ამ სიტყვების დამწერიც გვერდთ უდგება მწუხარე თ-დს სვიმონ ბუგუნავას, რომელსაც მამამ ბევრი თვისი ღირსებანი უანდერძა.

ალ. მიქელაძე.

შეუერთდენო; ამ ხმის გამო სტუდენტებმა მოიწადინეს მილანი გამოეცხადებინათ ამ ქვეყნების მეფედ, მაგრამ მთავრობა წინააღუდგა ესკოს განზრახვას. კანონეთის ჟურნალი დაიცავს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას ბალკანის შესახებ.

ათინა. საბერძნეთის მმართებლობა ხელ-ახლად მოიწოდებს დროებით დათხოვნილ არმიასა და ფლოტის ჩინებს.

სტამბოლი. ოსმალოს ჯარები მუხთარ-ფაშას სარდლობით გაეშურნენ რუმელიისაკენ.

პარიჟი. ჩინეთიდამ მოვიდა ამბები, რომ თონქინის საზღვრების მახლობლად ამოჟლიტეს აუარებელი ქრისტიანენი, მათ შორის დიდი რიცხვი ფრანცუზ მონოზნებისა. გენ კურსის ალ-დონი არ მისდევს, რომ შველა გაუწიოს მთხოვნელთ.

სექტემბრის 12.

პეტერბურგი. გერმანიის სასახლის წინაშე ელჩს გრაფ შუვალოვს ებოძა ბრილიანტებით მორთული ორდენი ალექსანდრე ნევისა.

შინაგან საქმეთა მინისტრს მოელიან ენკენისთვის 20-ს; მოელიან აგრეთვე სამხედრო მინისტრსაც. გერმანიის ელჩი რუსეთში, რომელმაც დროებით წასვლის ნება აიღო, ისევ პეტერბურგში რჩება, სინამ არ გამოირკვევა ფილიპოპოლში მომხდარი არეულობის საქმე.

რუსეთის ელჩი გერმანიაში ამ კვირას ბერლინში დაბრუნდება. ოსმალოს ელჩი, რომელიც დროებით წასული იყო, ამ კვირას პეტერბურგში დაბრუნდება.

გაზეთები იწერებიან, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შესამოწმოდ დაინახა 6 ვერსის მილის გაყვანა პერმის კამპანიის მიერ ბაქოდამ ბათუმამდის.

სტამბოლი. ოსმალოს მინისტრები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან აღმოსავლეთ რუმელიაში მომხდარ არეულობის დამშვიდების შესახებ: ზოგნი საქმეში იარაღით გარევას ურჩევენ, ზოგნი კი ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით სხვა სახელმწიფოებს დაეკითხონ და მანამდის კი საზღვარზედ რამდენიმე ბატალიონი მოაგროვონ.

ბუხარესტი. ის ხმა, ვითომ რუმინიის ჯარი გროვდებოდეს და რუმინიისა, სერბიისა და საბერძნეთის შორის კავშირი იკვრებოდეს იმის გამო, რომ ეწინააღმდეგონ მაკედონიის შეერთებას ბოლგარიასთან,—ტყუილი გამოდგა.

### ბირჟა

პეტერბურგი სექტემბრის 10.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $23^{9}/_{16}$ $23^{3}/_{4}$ $23^{9}/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | 201 $201^{3}/_{4}$ 201 |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | 249 $249^{1}/_{2}$ 249 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 40 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 40 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^{1}/_{8}$ და $6^{1}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $98^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 98 /₄ მ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 98 /₄ მ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — — | $98^{1}/_{2}$ მ. მყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — | 96 მ. 37 კ. გაყ. |
| მეორე გამოც — — | 96 მ. 62 კ. მყ. |
| მესამე გამოც. — — | 96 მ. 62 კ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $219^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 207 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. $89^{1}/_{2}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 92 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

### ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სასისოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფები მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის საშინაო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —სახირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; პეტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კოროვა ოთხშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ენკენისთვიდამ 1 ღვინობისთვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური: რუსთის ფქვილისა — — | 1 გირ. | 5 კ. | |
| ახალქალაქის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | 1 | გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის — | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — — | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — — | 1 | გ | $2^{1}/_{2}$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — — | 1 | გ. | 3 კ |

მროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 6 კ |
| მეორისა — — — | 1 | გ | 5 კ. |
| სუკი— — — — | 1 | გ. | 13 კ |
| ცხვრის ხორცი— — | 1 | გ. | 7 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა - | 1 | გ. | |
| მეორისა — — | 1 | — | გ. |

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

# განცხადებანი


ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან, და ორის საწოლი 10 მანეთიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდის. აგრეთვე შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის ჯიგა, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასადილოები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათხეკები, პროვკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრასტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, სანთები, ჩუსტები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, კიბულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმაკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—24)

გრ. ჩარკვიანის მაღაზიაში.

ისყიდება ლექსნი

თქმულნი

ბესარიონ (ბესიკი) გაბაშვილისაგან

ფასი 30 კაპ. (2—2)

შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542).

(46—29)

საკლობუსო  კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები პირსახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—27)


*Доз. ценз. Тифлисъ 12 Сентября 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი